სტრატეგიული განვითარების სამსახური

(დებულება)

სამსახურის მიზანია, უზრუნველყოს ინსტიტუციონალური სტრატეგიული დაგეგმვისა და მასთან დაკავშირებული პროცესების ორგანიზება. ამ მიზნით, სამსახური:

- უზრუნველყოფს ინფორმაციის მოძიებას ინსტიტუციონალური კვლევის საფუძველზე, რისთვისაც აწარმოებს უნივერსიტეტის მართვასთან დაკავშირებული ინფორმაციის ამსახველ ელექტრონულ პლატფორმას;
- უზრუნველყოფს ძირითადი და დამხმარე პროცესების ერთიან სტანდარტში მოქცევას და უნივერსიტეტის მუდმივი განვითარებისათვის აწარმოებს ხარისხის მართვის ელექტრონულ პლატფორმას (tqm.ibsu.edu.ge), რომელიც მოიცავს უნივერსიტეტის საქმიანობის ყველა ძირითად მიმართულებას;
- ელექტრონული საინფორმაციო სისტემების სამსახურთან ერთად უზრუნველყოფს შესაბამისი სამუშაოების განხორციელებას უნივერსიტეტის საინფორმაციო სისტემების განვითარების მიზნით;
- უზრუნველყოფს უნივერსიტეტის მისიისა და ხედვის, ასევე ღირებულებების განსაზღვრასა და განვითარებას დაინტერესებული მხარეების ჩართულობით;
- უზრუნველყოფს სტრატეგიული დაგეგმვისათვის საჭირო პროცესების ორგანიზებას;
- უზრუნველყოფს უნივერსიტეტის სამოქმედო გეგმის პროექტის შემუშავებას კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად, მათ შორის, დაინტერესებული პირების ჩართულობით;
- უზრუნველყოფს სტრუქტურული ერთეულების სამოქმედო გეგმის შემუშავების მხარდაჭერას;
- მონაწილეობს უნივერსიტეტის ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში;

- უზრუნველყოფს ინფორმაციის მოძიებას შესაბამის საერთაშორისო სერტიფიკატებთან დაკავშირებით (როგორიცაა ISO და EFQM) და უნივერსიტეტის მართვის სისტემასთან დაკავშირებული გაუმჯობესების საკითხებზე შეთავაზებას შესაბამისი პირებისათვის;
- უზრუნველყოფს შიდა აუდიტის განხორციელებას, საჭიროების შემთხვევაში, და შესაბამის ანგარიშს წარუდგენს უნივერსიტეტის მმართველ რგოლს;
- უზრუნველყოფს ყველა იმ დამატებითი ღონისძიების განხორციელებას, რაც პირდაპირ ან არაპირდაპირ უკავშირდება წინამდებარე დებულებით განსაზღვრული მისი ფუნქციების შესრულებას.
- უზრუნველყოფს უნივერსიტეტის ბიზნესუწყვეტობის გეგმის შესრულების კოორდინირებას, გეგმის ტესტირებისა და ყოველწლიური განახლებისათვის შესაბამისი აქტივობების დაგეგმვას.
- უზრუნველყოფს უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების მიერ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების პროცესის ზედამხედველობას. ყოველი სემესტრის ბოლოს, სტრუქტურული ერთეულების მიერ წარმოდგენილ ანგარიშებს წარუდგენს მენეჯმენტის ზედა რგოლებს შემდგომი განხილვისთვის;
- მონაწილეობს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხილვის მიზნით უნივერსიტეტის მენეჯმენტის შეხვედრებში (შეხვედრები იმართება პერიოდულად, სადაც სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები განიხილება და განახლდება ინსტიტუციონალური მონაცემების საფუძველზე, დაგეგმვა-განხორციელება-შემოწმება-განვითარების (PDCA) ციკლის მიხედვით).